შალვა გლოველი

„აფხაზთა სამეფო“ და სენიორალური სისტემა

უკვე VIII-IX საუკუნეებიდან, დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებში, „სენიორია“ მიწათმფლობელობის გაბატონებული ფორმა გახდა. ამავე პერიოდში, საქართველოშიც სენიორალური სისტემის განვითარების ხანაა. თუმცა მისი ჩამოყალიბება გაცილებით ადრინდელი პერიოდიდან, დაახლოებით, მეხუთე საუკუნიდან იწყება. სენიორალური სისტემა, ასევე დამახასიათებელია „არაბობის“ ხანაში ჩამოყალიბებული ახალი სამეფო-სამთავროებისთვისაც. ეს სისტემა და ვასალიტეტი კარგადაა განვითარებული ქართლსა და ტაო-კლარჯეთში. აქ აზნაურები არა ვინმეს მოხელე, არამედ სრულუფლებიანი მემამულეები არიან (6. 56). ტაო-კლარჯეთში სენიორიების განვითარებულმა სისტემამ მრავალსაფეხურიანი ვასალიტეტი ჩამოაყალიბა (7. 190). პროფესორ გივი ჯამბურიას თქმით, „მსხვილი ფეოდალური მიწათმფლობელობის, ანუ სამთავრო-სენიორალური სისტემის წარმოშობა და განვითარება საქართველოში მთელი ადრეფეოდალური ხანის მანძილზე მიმდინარეობს და ძირითადად სრულდება IX საუკუნეში. აღნიშნული პროცესი შეიძლება ორ ძირითად პერიოდად გავყოთ. პირველი პერიოდი იფარგლება IV-VI, მეორე პერიოდი კი – VII-IX საუკუნეებით“ (11. 84). ამ მხრივ, VI საუკუნე შეიძლება მივიჩნიოთ გარდამტეხ პერიოდად. ერისმთავრობის ინსტიტუტის ჩამოყალიბების შემდეგ „ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარება სწრაფად მიდის აღმავლობისაკენ“ (11. 85).

ამგვარი სენიორალური სისტემა დასავლეთ საქართველოშიც დამკვიდრებულია. ტაო-კლარჯეთის სამთავროს სენიორალური სისტემის ირგვლივ, წყაროები უფრო მეტი მსჯელობის საშუალებას იძლევა. ბევრი ანალოგიაა „აფხაზთა სამეფოშიც“. ჯერ კიდევ VII საუკუნეში დასავლეთ საქართველოში, ეგრისში აფხაზეთის საერისთავო გაძლიერდა და უშუალოდ ბიზანტიის იმპერიას დაექვემდებარა. ეს საერისთავო ბიზანტიის იმპერიის ერთ-ერთ სასაზღვრო თემად გადაიქცა. VII-VIII საუკუნეებში ბიზანტიაში მიმდინარეობდა სამხედრო-ტერიტორიული თემების ჩამოყალიბება, რაც ფეოდალურ ურთიერთობათა გაღრმავებამ განაპირობა. ამ თემებს სათავეში „სტრატეგოსები“ (მხედართმთავრები) ედგნენ, რაც ძველი ქართული ტრადიციის „ერისთავებს“ შეესატყვისება (2; 3). **ეს თემი შემდეგ შეიძლება ჩაითვალოს, რომ სენიორიად იქცა და მას სათავეში ლეონ I „აფხაზეთის ერისთავი“ უდგას.** აკადემიკოს სიმონ ჯანაშიას სენიორიებად მიაჩნდა ის მამულები, რომლებიც VIII საუკუნეში არჩილ მეფემ სიძე-ერისთავებს გადასცა (12. 286-287). ამის შესახებ ჯუანშერი მოგვითხრობს: ***„ხოლო მირ დამძიმდა წყლულებისა მისგან მოსიკუდიდ და რქუა ძმასა თჳსსაც არჩილს „მე ესერა წარვალ ძმაო, მამათა ჩუენთა თანა, არამედ წარმეც და დამფალ საფლავსა მამათა ჩუენთა თანა. და შენ გაუწყო ადგილი საგანძურთა ჩუენთა ნამალევთა სადა არს. და არა მივის ძე-წული შვილი მკჳდრად. არამედ მისხენ შჳდნი ქალნი. აწ შენ ხარ მკჳდრი სახლისაგან მეფობისა ჩუენისა, მირიან მეფისა. და შენ თჳთ უწყი, ვითარმედ ქალი, შვილი ჩუენი, არა მივსცით ერისთავთა ჩუენთა ცოლად, ანუ მივსცით მეფეთა, ანუ მოვინმევიდის სპარსთაგან ნათესავი მეფეთა, ვითარცა ფეროზ, რომელსა მისცა მირიან მეფემან ასული მისი ცოლად. და ჩუენ შემცირებულ ვართ, რამეთუ შენ ხარ უცოლო, და მე ვარ უძეო. აწ რათგან მოიყვანნიან მამათა ჩუენთა ცოლნი ასულნი ერისთავთა ჩუენთანი, მისცენ მათ ასულნი ჩემნი და განუყვნენ მათ ქუეყანანი ქართლისანი. ნახევარი შენ და ნახევარი მათ. ხოლო საუხუცესოდ რომელ მქონდა, მომიცემია შენდა. და გქონდეს საუხუცესოდ ეგრისი, სუანეთი, თაკუერი, არგუეთი და გურია. ხოლო კლარჯეთი და შუა მთიულეთი მიეც ასულთა ჩემთა, რათა მუნ შინა იყვნენ ჟამთა ამათ ბოროტთა“*(14. 240-241).

არჩილმა პირნათლად შეასრულა თავისი ძმის, მირის ანდერძი და მან *„მოუწოდა ერისთავთა ქართლისათა, და მისცნა ძმისწულნი მისნი: ერთი მისცა მამის ძმისწულსა მისსა, შვილსა გუარამ კურაპალატისასა, რომელსა ჰქონდა კლარჯეთი და ჯავახეთი; მეორე მისცა პიტიახშსა, ნათესავსა ფეროზისსა, რომელი მთავრობდა თრიალეთს, ტაშირს და*

აბოცს; მესამე მისცა ნერსეს ნერსიანსა, რომელი იგი იყო წარჩინებული ვახტანგ მეფისა; მეოთხე მისცა ადარნასეს ადარნასიანსა, და ორთავე ამათ განუყო ზენა სოფელი, რომელ არს ქართლი; მეხუთე მისცა ვარზმანს, და მისცა კოტმანითგან ქურდის-ჯევამდე; იყო ესე ვარზმან ნათესავი სპარსთა ერისთავისა ბარდაველისა, რომელი იყო დედის მამა ვახტანგ მეფისა; მეექუსე მისცა ჯუანშერ ჯუანშერიანსა, რომელი-იგი იყო ნათესავი მირიან მეფისა, შვილთაგან რევისთა, და მისცა ჯუარი და ხერკი, და ყოველი მთიულეთი, მანგლისის ჯევი და ტფილისი“ (14. 241-242). არჩილის მიერ გატარებული პოლიტიკა სამთავრო-სენიორალური სისტემის განვითარების ახალი ეტაპის საწყისად მიიჩნევა. ნ. ბერძენიშვილი წერდა: „ადრეფეოდალურ ხანაში ჩვენ გვაქვს ამ ხანის შესაფერისი „რეფორმები“: VI საუკუნის აქტი და VIII საუკუნის აქტი. აქედან ჩვენ მივიღეთ (ორივეს შედეგად) ფეოდალური სამეფო სენიორიებით (მთავრებით, დარბაზებით, მეფით...)“ (4. 180). საინტერესო ფაქტია, რომ ეს „რეფორმატორი“ მეფე არჩილი იხმობს სწორედ ლეონ I-ს, რომელიც, როგორც ვთქვით, ბიზანტიის იმპერიის ერთ-ერთი სასაზღვრო თემის „სტრატეგოსი“, „ერისთავია“ და მიმართავს მას: *„კურთხეულ იყავ შენ უფლისა მიერ, რამეთუ კეთილად იღუაწე სტუმრობა ჩუენი, და დამიცვენ ჩუენ ადგილთა შენთა მშჯდობით: გარნა აწ უწყიეს შენება ადგილთა ჩუენთა კლისურითგან აღმართ. წარვალ და დავეშენები ციხე-გოჯს და ქუთათისს. აწ ითხოვე თავისა შენისათჯს რა გნებავს ჩემგან, ნაცვლად კეთილისა მსახურებისა შენისა“* (14. 242). ლეონმა ამაზე უპასუხა შემდეგი სიტყვებით: *„მომცა მე კეისარმან ქუეყანა ესე მკჯდრობით კეთილად სიმჯნითა თქუენითა ხოლო ამიერითგან არს ესე მამულობით სამკჯდრებელ ჩემდა კლისურითგან ვიდრე მდინარემდე დიდად ხაზარეთად, სადა დასწუდების წუერი კავკასიისა ამის. შემრთე მეცა მონათა შენთა თანა, რომელნი–ესე დღეს ღირს ყვენ შვილად და ძმად შენდა. არა მინდა ნაწილი შენგან, არამედ ჩემიცა ესე შენდავე იყოს. მაშინ მისცა ლეონს ცოლად ძმისწული მისი გუარანდუხტ და გჯრგჯნი იგი, რომელი ბერძენთა მეფესა წარმოეცა მირისთჯს. და ყვეს აღთქმა და ფიცი საშინელი, ვითარმედ არა იყოს მტერობა შორის მათსა, არამედ ერჩდეს ლეონ არჩილს ყოველთა დღეთა მისთა“* (14. 242-243). აქ ყურადღებას იქცევს ლეონის არჩილისადმი ვასალური დამოკიდებულება, რომელსაც აფხაზეთი აქვს „მამულობით სამკვიდრებელი“, ანუ მემკვიდრეობით მფლობელობაში კეისრისგან მიღებული (11. 90). **აფხაზეთის საერისთავო ბიზანტიის სასაზღვრო თემიდან სენიორიად ყალიბდება და ამავე დროს ამ სენიორიის მთავარი ლეონ I თითქოს არჩილ მეფისადმი ვასალურ დამოკიდებულებაში შედის.** აკად. მ. ლორთქიფანიძის შეფასებით, „ლეონ I, აფხაზთა მთავარი, ფრთხილ პოლიტიკას აწარმოებს. ის ხელმძღვანელობს ანტიარაბულ ფრონტს დასავლეთ საქართველოში, იღებს ბიზანტიის ვასალობას, და ამავე დროს თავს ქართლის მფლობელის არჩილის ვასალად აცხადებს“ (5. 178). პროფ. ნოდარ ასათიანი პატრონყმური ურთიერთობის დამყარების ტიპურ მაგალითად მიიჩნევს ქართლის ერისმთავრისა და აფხაზთა ერისთავის ურთიერთობას (1. 126). მთავარეპისკოპოსი ანანია ჯაფარიძის თქმით, „ლეონ I იქცა ქართლის ერისთავად, მისი სამთავრო ნომინალურად შევიდა ქართლის სამეფოში, სამაგიეროდ მიიღო უფლება ქართლის მეფის ქალიშვილის გურანდუხტის შერთვისა, მიიღო სამეფო რეგალიაც – სამეფო გვირგვინი, რაც მას, ალბათ, გარკვეულ სამეფო უფლებებს ანიჭებდა“ (13. 26). მოგვიანებით, VIII საუკუნის 80-იან წლებში, ამავე სენიორიის მფლობელი ლეონ II თავისუფლდება იმპერიისაგან და აყალიბებს „აფხაზთა სამეფოს“. მაშასადამე, **„აფხაზთა სამეფო“ ბიზანტიის იმპერიის სასაზღვრო თემის, აფხაზეთის საერისთავოს, უკვე ფორმირებული „სენიორიის“ მფლობელის, იგივე „სტრატეგოსის“, „ერისთავის“, „სენიორის“ – ლეონ II-ის მონაწილეობით იქმნება და ეს სენიორია ხდება, ისტორიული ეგრისის საზღვრებში, „აფხაზთა სამეფოს“ ჩამოყალიბების საფუძველი.**

აკად. გიორგი მელიქიშვილის აზრით, კახეთსა და დასავლეთ საქართველოში „მსხვილ ფეოდალურ მიწისმფლობელობას ჯერ კიდევ ეტყობა, ფეხი ვერა აქვს მტკიცედ მოკიდებული, გაბატონებული წრის ზედა ფენა – დიდებულები, წარჩინებულები აქ ჯერ კიდევ მსხვილ მემამულეებად, სენიორებად კი არ არიან ქცეული, არამედ მეფის

მოხელეებს წარმოადგენენ“ (6. 56). აღნიშნული პერიოდის სენიორია წარმოადგენდა მსხვილ მიწათმფლობელობას, მეურნეობას, რაც თავის მხრივ პრიმიტიული ტექნიკის პირობებში წვრილ გლეხურ წარმოებას ემყარებოდა (11. 97; 16. 77).

ყურადღებას იქცევს მსხვილ ფეოდალთა გვარები, რომლებიც სოფლის სახელიდანაა ნაწარმოები: ფავნელები, ტბელები... ეს ფაქტი იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ „ისინი თავიანთ სამფლობელოებს მემამულეობით ფლობენ და არა მოხელეობით“ (11. 95). „აფხაზთა სამეფოს“ შიდა ქართლზე ბატონობის ხანაში ამგვარ მსხვილ მემამულეობით სამფლობელოდ უნდა მივიჩნიოთ ტბელთა საგამგებლო. ჩვენი აზრით, ამ მხრივ, საინტერესოა ერედვის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის X საუკუნის I ნახევრის (ჩვენი დათარიღებით 918-922 წწ.) ერთ-ერთი საამშენებლო წარწერა:

„აღაშე[ნა] / წ(მიდა)ჲ [ე / სე ყოვ(ე)ლ] / თა [ტ]ბე[ლ]თ / ბითა“(9. 173).

ამ წარწერაში ყურადღებას იქცევს შემდეგი ფორმულირება - **„ყოველთა ტბელთა ბრძანებითა“,** რაც ამ ფეოდალური სახლის „სენიორალურ“ მდგომარეობაზე უნდა მიგვანიშნებდეს, თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ ამ გვარის წარმომადგენლები მხოლოდ „სენიორები“ იყვნენ; მაგალითად, მნიშვნელოვანია ეპიგრაფიკულ ძეგლებში მოხსენიებული ივანე ტბელის პიროვნება; ის ერედვის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის წარწერაში იხსენიება, როგორც „ქართლის უფალი“, ანუ „სენიორი“:

„[სახ]ელითა ღ(მრთისა)ჲთა, მ[ამისა, ძისა და] სუ[ლისა წ]მიდის[აჲთა], მეოხებითა წმ(ი)დ(ი)სა ღ(მრ)თი[სმ / შ]ობელისაჲთა, [შეწევნითა წმ(ი)დ(ი)სა გი](ორგი)სითა, ჯელმწიფობასა ღ(მრ)თ(ი)ვდამყარ[ე]ბ]ულისა წმიდ[ი]სა კ[ოსტანტი]ნე მეფისასა, რ(ომე)ლ(მა)ნ ბრძანა და ჩავიდა ჰერე / თს [შ]იგან, ჰერთა მეფ[ე]ჲ გა(ა)[ქ]ცია და მუნით მშუიდობით იქცა, ცისკრად ა / ლავერდს ილოცა, [მ]წუხ(რ)ი ბრეძას გადაჰ]ათა მეორედ კ(უ)ლა ავიდა, ვეჯინ / ისა ციხე დალეწა: ***ქართლს შინა უფლობასა ტბელისა ივანესი****, მთავა / რე[ბი]სკო[სო]ბასა სანატრელისა ყ(უარყუარ)ესა, ჯ(უა)რითა მისითა გაზრახვითა ნიქოზ / ე[ლი]სა - სანატრ[ე]ლისა სტეფანე ეგბისკოსისაჲთა, ძალითა, შეწევნითა მოყუას / თაჲთა, მე თ(ევდორ)ე თაფლაჲსძემან დავდე საძირკველი - წელნი იყ(უ)ნეს ხფი, ქრონიკ[ონსა რკვ]“*(9. 170-172).

იგივე ივანე ტბელი უნდა იხსენიებოდეს დოდოთის ცხრაკარის ეკლესიის წარწერაშიც, მაგრამ აქ უკვე როგორც მეფის მოხელე, ანუ „ერისთავი“:

„† სახელით / ა ღ(მრ)თი(საჲთა) ***ივანე ე / რ][ისთ]ავმ(ა)ნ ტბ(ელ)მ(ა)ნ*** *აღ(ა)შენა ესე წ(მიდა)ჲ ე / კლესიაჲ სალო / ცველად მისთჳ / ის და ხუთთა ძე / თ[ა მისთ] / ათუ[ის]“*(9. 175-176).

მაშასადამე, ქართლის დიდი ფეოდალური გვარის წარმომადგენელი ივანე ტბელი, შიდა ქართლის ერთ-ერთი მსხვილი „ფეოდალ-სენიორი“, ამავე დროს გვევლინება ერთ-ერთ უდიდეს სახელმწიფო მოხელედ, „აფხაზთა მეფის“ მიერ დანიშნულ „ერისთავადაც“ (10. 680).

სავსებით ვეთანხმებით პროფ. გივი ჯამბურიას მოსაზრებას, რომ აღნიშნული პერიოდის დასავლეთ საქართველოში ანალოგიური სამფლობელოებია სავარაუდო „მთავარ ივანე შავლიანის, ბაღვაშთა კაცხის მამულის, არგვეთელი მთავრების – დავით და კონსტანტინეს და სხვა მათ მსგავს მთავართა და ეკლესია-მონასტრების სამფლობელოების სახით“ (11. 95).

ცალკე უნდა აღინიშნოს საეკლესიო და სამონასტრო სენიორიების არსებობის ფაქტი. VIII-X საუკუნეებში ფართოდ იშლება სამონასტრო მშენებლობა. დაარსდა მრავალი საეპისკოპოსო ცენტრი, ეკლესია. შეიქმნა მსხვილი სამონასტრო-საეკლესიო მიწათმფლობელობა. დასავლეთ საქართველოში ასეთი საეპისკოპოსო ცენტრები თუ ეკლესია-მონასტრები დაარსდა მარტვილში, მოქვში და სხვა. ისტორიულ წყაროებში მოიპოვება ცნობები ეკლესია-მონასტრებისთვის მამულების გადაცემის შესახებ.

საეკლესიო-სამონასტრო სენიორიების არსებობასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია XI საუკუნის „ნიკორწმინდის იადგარი“ (8. №4). ამ „იადგარის“ მიხედვით, საქმე გვაქვს საკმაოდ განვითარებულ ფეოდალურ საზოგადოებასთან, რომელიც შედგება მთავრებისაგან, დიდებული აზნაურებისაგან და აზნაურებისაგან. ისინი ქმნიან ნიკორწმინდის მსხვილ საეკლესიო ორგანიზაციას. ზოგი მათგანი გლეხებს, მიწას და სხვა ქონებას ყიდის, ზოგიც კი წირავს ნიკორწმინდის ეპისკოპოსს და საერთოდ, ნიკორწმინდის ეკლესიას. ასეთი სურათია აქ XI საუკუნეში, მაგრამ სავსებით სამართლიანად შენიშნავს პროფესორი გივი ჯამბურია, რომ „ასეთ განვითარებულ ფეოდალურ საზოგადოებას მხოლოდ XI ს-ის შემოქმედებად ვერ მივიჩნევთ. აქ აღნიშნული საზოგადოება მთელი ადრეფეოდალური ხანის მანძილზე ყალიბდებოდა. ზემო იმერეთში VIII-IX სს-ში დაახლოებით ისეთივე სამთავროები უნდა ყოფილიყო, როგორიც ქართლსა და კახეთში იყო იმავე ხანებში“ (11. 96).

„აფხაზთა სამეფოში“ ფეოდალურ ურთიერთობებსა და აქ არსებულ სოციალ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე წერდა პროფესორი შოთა ბადრიძე: „...общий подьём, развитие феодального (церковно-монастырского) землевладения, оживление торговли и городской хизни, что указывает и на высокий уровень сельского хозяйства, расцвет христианской культуры, расширение социального базиса грузинского языка, углубление внутриклассовой борьбы феодальной верхушки – всё вместе взятое создаёт впечатляющую картину, отображающую довольно высокий уровень раннефеодадьных форм социально-экономических отношений в Абхазском царстве“ (15. 136-146).

დასკვნის სახით, შეიძლება ითქვას, რომ სამთავრო-სენიორალური სისტემა, როგორც საერო, ასევე, საეკლესიო-სამონასტრო ცხოვრებაში, „აფხაზთა სამეფოსთვისაც“ იყო დამახასიათებელი და მაშასადამე, ამ სამეფოში საკმაოდ განვითარებული ფეოდალური საზოგადოების არსებობაა სავარაუდო.

ბიბლიოგრაფია:

1. ნოდარ **ასათიანი.** საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან XIX საუკუნემდე. თბ. 1999.
2. შოთა **ბადრიძე.** აფხაზთა სამეფოს წარმოშობის დროსა და პირობების შესახებ. თსუ შრომები. B (143). თბ. 1972
3. შოთა **ბადრიძე.** ახალი ქართული სამეფო სამთავროების წარმოქმნა VIII-IX სს. გაზ. „ნერგი“. 23 ივლისი. 1993
4. ნიკო **ბერძენიშვილი.** საქართველოს ისტორიის საკითხები. VII. თბ. 1974
5. მარიამ **ლორთქიფანიძე.** ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება (IX-X სს.). თბ. 1963
6. გიორგი **მელიქიშვილი.** ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება და საქართველოში ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარების ზოგიერთი საკითხი. თბ. 1973.
7. ივანე **სურგულაძე.** საკუთრების უფლება ფეოდალურ საქართველოში IV-X საუკუნეებში. ქართული სამართლის ისტორიის საკითხები. I. თბ. 1973.
8. ქართული სამართლის ძეგლები. ი. დოლიძის რედ. III. 1970
9. ქართული წარწერების კორპუსი. ლაპიდარული წარწერები. I. აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველო (V-X სს.). შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ნ. შოშიაშვილმა. თბ.1980.
10. ნოდარ **შოშიაშვილი.** ტბელი ივანე. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. 9. თბ. 1985.
11. გივი **ჯამბურია.** სამთავრო-სენიორალური სისტემა ადრეფეოდალური ხანის საქართველოში. თსუ შრომები. 227. თბ. 1982.

12. სიმონ **ჯანაშია.** შრომები. II. თბ. 1952.
13. მთავარეპისკოპოსი ანანია **ჯაფარიძე.** აფხაზეთი (ქართველთა „გააფხაზება“). თბ. 2001.
14. **ჯუანშერი.** ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა. წგ. ქართლის ცხოვრება. I. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით. ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბ. 1955.
15. **Бадридзе Ш. А.** Некоторые вопросы политического и социально-экономического строя Абхазского царства. кг. Вопросы истории народов Кавказа (сборник статьей, посвященных памяти З. В. Анчабадзе). Тб. 1995.
16. **Сказкин С. Д.** Избранные труды по истории. I. М. 1973.

Shalva Gloveli

Seignorial system of the “Abkhazian kingdom”

(Summary)

The article stresses that the Abkhazian principality, formerly being the frontier community of the Byzantium, was transformed into a domain of the signorial type. It was created on the initiative of its ruler, Leo II, who was a "strategos", "Eristavi". This principality became the basis of the "Kingdom of the Abkhazians".

The "Abkhazian Kingdom" was characterized by features of the seignorial system both in state and church life. It must be assumed that a developed feudal society existed in this kingdom.